



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1664
10/09/2018

ქალაქი ბათუმი

1664-05-4-201809101645



“ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის თეიმურაზ გაწერელიას 2018 წლის 07 სექტემბრის №2604-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. “ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

დ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) მალხაზ საღვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - კომისიის წევრი;

ვ) იოსებ ბოლქვაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიულ დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ზ) მერის წარმომადგენელი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან, სადაც მდებარეობს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დასადაგენი მიწის ნაკვეთი - კომისიის წევრი.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

